

ბენჯამინ ბატონის უცნაური ამბავი – The
Curious Case of Benjamin Button

ფრენსის სკოტ ფიტჯერალდი – Francis Scott Fitzgerald

2017-05-02



ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი F. SCOTT FITZGERALD

The Curious Case of Benjamin Button

ბენჯამინ ბუტონის უცნაური ამბავი



ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი – Francis Scott Fitzgerald

წიგნი 3

მთარგმნელი ნინო კაციტაძე

სქოლიოს მთარგმნელი ნანა ზარდიაშვილი
მთავარი რედაქტორი მანია ადუღაური
რედაქტორი ზურაბ აბაშიძე
კორექტორები: ნატალია ჩიმიკაძე, დიკა თავართქილაძე, ნინო ბიძინაშვილი, მარინა ინანიშვილი
დებიანიერი თეკლა გიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
პროექტის მენეჯერი სარომე ცუცქერიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა სოფიო ვაშაკიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2017

ყველა უფლება დაცულია
მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. 49
238-38-71
book@palitra.ge
www.palitra.ge

Edición original © 2016, Kontenut
www.kontenut.com
All rights reserved

რას ფიქრობს ხალხი მსოფლიო კვანძის ორენოვან გამოცემაზე

უცხოური დიტერატურის კითხვის დროს, ხშირად ბევრი რამ თარგმანში იკარგება. სიტყვების მარაგის სიუხვის მიუხედავად, განსხვავებული სინტაქსის ენაზე კითხვისას, წმინდა ამრის გამოტანა ძაღზე რთულია. ორენოვანი კვანძის დიტერატურა კი საშუალებას აძლევს მკითხველს, სიღრმისეულად შეხვედეს ნაწარმოების კონტენტს. პირადად, სკოლაც და უნივერსიტეტიც ამერიკაში დავამთავრე და, შესაბამისად, ორენოვანი დიტერატურა არა მარტო ინგლისურის, არამედ ქართული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად მჭირდება. ორენოვანი კვანძის დიტერატურის გამოცემა არის მნიშვნელოვანი და ინოვაციური ინიციატივა, რომელიც არა მარტო ქართულენოვან მკითხველს შეაყვარებს უცხო ენას, არამედ ასევე მნიშვნელოვანი და საჭირო იქნება ქართული დიასპორისთვის.

ანა დეჟავა
საქართველოს ახარგამრდა ელჩი აშშ-ში

ჩვენი სასწავლო ცენტრის მსმენელები იმდენად მოწოდებულნი და მობიზოვებულნი არიან, სწავლების პროცესში სანტიტერესო სიახლის შეთავაზება მუდმივად სჭირდებათ. ბუნებრივია, ჩვენც უცხო ენის სწავლისას თანამედროვე მეთოდებს მაქსიმალურად ვაცნობთ და ენობრივი ბარიერის გადალახვაში მინიმალურ დროში ვეხმარებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მსმენელებს ენის სწავლებისას სწორი დიტერატურა ვურჩიოთ. «პალიტრა

L»-ის მიერ გამოცემული ორენოვანი მსოფლიო კლასიკის 12-ტომეული იდეალური შესაძლებლობაა, სასარგებლო სასიამოვნოს შევუთავსოთ – მკითხველები მსოფლიო კლასიკად ქცეულ დიტერაქტუას ორიგინალში კითხულობენ და თუ ტექსტში მათთვის უცნობ სიტყვას აღმოაჩენენ, რექსიკონის ქვედაში დროს არ ხარჯავენ – თარგმანი იქვე, ინგლისური ტექსტის პარალელურად შეუძლიათ ამოიკითხოთ. რაც მთავარია, მათ შესაძლებლობა აქვთ, ტექსტის აუდიოჩანაწერიც მოისმინონ და, შესაბამისად, ინგლისურად მეტყველებაც საფუძვლიანად დახვეწონ. ეს კომფორტულია იმ მხრივაც, რომ ტექსტის მოსმენა ტრანსპორტში, ქუჩაში თუ თავისუფალ დროს ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ. «კემბრიჯ ცენტრი» სწავლებისას «პარიტრა L»-ის წიგნებს მაქსიმალურად გამოიყენებს.

მაგდა გვერესიანი
«კემბრიჯ ცენტრის» მენეჯერი

«პარიტრა L»-ის მიერ შემოთავაზებული წიგნები, დარწმუნებული ვარ, სწავლას გამაადვილებს – თან მსოფლიო კლასიკას ორიგინალში გავცნობი და ამასთან, გამართულ ქართულ თარგმანსაც წავიკითხავ. მსგავსი შესაძლებლობა სტუდენტებს აქამდე ნამდვირად არ გვექონდა – ინგლისური წიგნი მრავლად იყიდება, მაგრამ, როგორც წესი, მათი უმრავლესობა ადაპტირებულია ან პარალელურად, ბევრ დამხმარე საშუალებას, მათ შორის რექსიკონს საჭიროებს. ამიტომ ორენოვანი მსოფლიო კლასიკის 12-ტომეული დღეიდან ჩემი სწავლების პროცესში განუყოფელი მეგზური იქნება.

თეონა ჩივაძე
სტუდენტი

წინათქმა

როგორც ჰემინგუეისთვის ომის თემა გახდათ შეუცვლელი და ამოუწურავი, ასევე, ფიცჯერალდისთვის ამერიკული ოცნება და მისი გაცამტვერება იქცა მარადიულ თემად, რადგან სწორედ იგი აერთიანებს მწერლის პირად ცხოვრებას, შემოქმედებით გზასა და ნაწარმოებებს; სწორედ ფიცჯერალდია სიმდიდრისა და დიდების დამღუპველი ძარის საუკეთესო აღმწერელი თავის შემოქმედებაში. არც ერთი ამერიკელი მწერალი არ ჩადრმავებია მასავით ამერიკელების ფსიქიკის სახიფათო დაბრინთებს და არც არავის შეუსწავლია იგი ასე სრულყოფილად.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი 1896 წლის 24 სექტემბერს აშშ-ში, მინესოტის შტატის ქადაქ სენტ-პოლში, ირლანდიელების ოჯახში დაიბადა. სახელი დიდი ბაბუის, აშშ-ის ჰიმნის ტექსტის ავტორის, ფრენსის სკოტ კის პატივსაცემად დაარქვეს. ოჯახის წყარობით ფიცჯერალდი საკმაოდ პრესტიჟულ სასწავლებლებში, მათ შორის – პრინსტონის უნივერსიტეტშიც სწავლობდა და სტუდენტობისას მისი მოთხოვნები და პიესები ხშირად იმარჯვებდა საუნივერსიტეტო კონკურსში. გამოსაშვებ გამოცდებამდე იგი მოხადისედ წავიდა სამხედრო სამსახურში და იმ პერიოდში გაიცნო მდიდარი და პატივსაცემი ოჯახის, ადაბამის შტატის მოსამართლის უდამაზესი ქალიშვილი ზედლა სეირი. ასე დაუკავშირდა სამუდამოდ ფიცჯერალდის

ცხოვრებაც და შემოქმედებაც შტატის საუკეთესო საპატარძლოს. სწორედ ზედღასთან ქორწინების უდიდესი სურვილი აღმოჩნდა ფიცჯერალდის შემოქმედებითი წარმატების საწინდარი – მხოლოდ ასე მოიპოვა მან მოსამართლის ოჯახის კეთილგანწყობა. მწერარმა გადააკეთა გამომცემლობებისგან მრავალგზის დაწუნებული «რომანტიკული ეგოისტი» ხედნაწერი და 1920 წელს მკითხველმა მიიღო განახლებული რომანი ახალი სახედწოდებით – «სამოთხის ამ მხარეს». წარმატებაც მაშინვე ეწვია და ერთ თვეში დაქორწინდა კიდევ ზედღაზე, რომელიც რომანის მთავარი გმირის – როზალინდის პროტოტიპად გამოიყენა. რომანის პოპულარობამ ფიცჯერალდს დიდი დიქტატურული სამყაროს გზა გაუხსნა. მის ნაწარმოებებს ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდნენ და შემოქმედებითმა წარმატებამ თავდასაჩინო მატერიალური კეთილდღეობაც მოუტანა. წყვილი მხიარული მდიდრული ცხოვრებით ტკბებოდა, ხშირად სკანდალურ ეხვეოდა და მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. «მაღალი საზოგადოება» მათ პრინცესა და პრინცესას უწოდებდა. ერთხელ ფიცჯერალდს უთქვამს კიდევ: არც კი ვიცი, მე და ზედღა რეალური ადამიანები ვართ თუ ჩემი რომელიმე რომანის პერსონაჟებიო, სინამდვილეში კი თავისი გამომხდომებით იქცნენ სწორედ «მაღალი საზოგადოების პერსონაჟებად».

1924 წელს ფიცჯერალდი ევროპაში – იტალიასა და საფრანგეთში გაემგზავრა. სწორედ პარიზში დაასრულა და გამოაქვეყნა რომანი «დიდი გეთსბი» – ნაწარმოები, რომელსაც ბევრი კრიტიკოსი და თავად მწერარიც იმ პერიოდის ამერიკული დიქტატურის შედეგად, «ჯაზის ეპოქის» სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ეს უკანასკნელი სახედწოდება კი, ფაქტობრივად, ოფიციალურად ეწოდა ეპოქას, რომლის ემანსიპაცია და საზოგადოების კანონებისგან გათავისუფლებაც ბრწყინვალედ ასახა ფიცჯერალდმა თავის რომანებში და მოთხრობებში.

პარიზში გაიცნო ერნესტ ჰემინგუეიც. სხვათა შორის, მოგვიანებით, 1950 წელს დაწერილი ავტობიოგრაფიული წიგნის – «დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა» ბევრი ფურცელი ჰემინგუეიმ სკოტ ფიცჯერალდს მიუძღვნა.

1930 წელს ზედღას შიზოფრენია დაემართა და ეს სენი მთელი ცხოვრების განმავლობაში ტანჯავდა. 1934 წელს ფიცჯერალდმა დაწერა, ფაქტობრივად, ავტობიოგრაფიული რომანი «ნაზია ღამე», სადაც საკუთარი ტკივილი, ქორწინების გადარჩენისთვის ბრძოლა და ზედღასთან ფუფუნებაში გატარებული ცხოვრების სხვა მხარეებიც ასახა. რომანი ამერიკაში არცთუ წარმატებული აღმოჩნდა და 1937 წელს მწერარმა სცენარისტობა გადაწყვიტა. იგი სამუშაოდ ჰოლივუდში გაემგზავრა, იქ შეიღა გრემი შეუყვარდა და სიცოცხლის უკანასკნელი წლებიც მასთან ერთად გაატარა. იქვე დაწერა რამდენიმე ავტობიოგრაფიული მოთხრობა და სტატია, ხოლო 1939 წლიდან ჰოლივუდური ცხოვრების აღწერა დაიწყო რომანში «უკანასკნელი მაგნატი», მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ დაასრულა.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი 1940 წელს ჰოლივუდში გულის შეტევით გარდაიცვალა. მწერლის დანატოვარი თანხა მეკუბოვესა და მშობრიურ კუთხეში გადასვენებას ძღვის გასწვდა. მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს მიხვდა ფიცჯერალდი, რომ პირად და პროფესიულ ცხოვრებაშიც ფიასკო განიცადა. თუმცა გარდაცვალების შემდეგ მისი შემოქმედება საფუძვლიანად შეისწავლეს, გადააფასეს და სამართლიანად მიანიჭეს ამერიკის კლასიკოსი მწერლისა და იმ ეპოქის გამორჩეული შემადგენლის წოდება.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია